საიდ. №73001/03

IR 1164130

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №135-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ი. მუღალაშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჰოლა ს.ლ” (HOLA, S.L.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №135-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №789/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „HELLO!” (საიდ. №73001/03 IR 1164130) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-16 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №789/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ

წარმოდგენილი ნიშანი „HELLO!“ სემანტიკურად მსგავსია კომპანიის “ჰოლა, ს.ა.“ (HOLA, S.A.) მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული კირილიცათი ჩაწერილი ნიშნისა „ПРИВЕТ !“ (რეგ. N6896, რეგ. თარ: 23/09/1997). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი ქართულად ნიშნავს „გამარჯობას“, ეს კი ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-16 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-16 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ჰოლა ს.ლ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშნები განსხვავებულია ვიზუალურად და ჟღერადობით, სხვადასხვაა ნიშნების სიტყვიერი ნაწილების შესრულების შრიფტი, შესაბამისად, მათი აღრევა შეუძლებელია. სააპელაციო საჩივრის ზეპირ მოსმენაზე, აპელანტმა განმარტა, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიამ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანზე „ПРИВЕТ !“ (რეგ. N6896) უფლებები გადასცა აპელანტ კომპანიას „ჰოლა ს.ლ” (HOLA, S.L.) შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის ერთი და იმავე კომპანიას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №789/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „HELLO!” (საიდ. №73001/03 IR 1164130) დაცვის მინიჭებას

საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში 2014 წლის 01 სექტემბერს დაფიქსირებული ცვლილების თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიამ "ჰოლა, ს.ა." (HOLA, S.A.) დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანზე „ПРИВЕТ !" (რეგ. N6896) უფლებები გადასცა აპელანტ კომპანიას „ჰოლა, ს.ლ." (HOLA, S.L.). აღნიშნული ცვლილების თანახმად, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის აპელანტ კომპანიას „ჰოლა, ს.ლ." (HOLA, S.L.). შესაბამისად, აღარ იარსებებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი ერთი და იგივე პირია, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „HELLO!" (საიდ. №73001/03 IR 1164130) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჰოლა ს.ლ” (HOLA, S.L.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №789/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HELLO!” (საიდ. №73001/03 IR 1164130) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ს. მუჯირი
წევრები:	ქ. კილაძე
	ი. მუღალაშვილი